საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კომუნისტი

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 90 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 90

## რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობისაგან საქართველოში..

## განცხადება.

რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობამდის საქართველოში, მივიდა ცნობა, რომ მრავალ პირებს, რომლებიც ლებულობდენ მონაწილეობას ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავის დღესასწაულზე წარმომადგენლობის შენობაში, შენობიდგან გამოსვლისას დააპატიმრეს, და სცემეს განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომლებმა.

სრულუფლებიანი წარმომადგენლობა რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში სთხოვს ყველა ასეთ შეურაცყოფილ პირებს დაუყოვნებლივ აცნობონ ყველა ასეთ შემთხვევებში წარმომადგენლობას.

**სრულუფლებიანი წარმომადგენელი ს. რ. ს. ფ. რ. საქართველოში**
**ა. შეიმანი.**

## ნაციათა ლიგა და მენშევიკები.

ჩვენი მენშევიკები წვრილ ბურჟუაზიული მომჭირნეობით თავისთვის აქუჩებენ ყოველივე იმას, რაც კი ხელში მოხდებათ. ასეთ საქმიანობას ის ბრძნული გამოცდილება უდევს სარჩულათ, რომ ყველაფერი გამოსადეგია ამ ქვეყნათ. ისინი არ ერიდებიან, რომ ყოველივე ნახულს თუ ნაპოვნს თავის ბალჩაში უკრან თავი და ეს მით უფრო, თუ დარწმუნებული არიან, რომ ამ „შენაძენში" მათ არავინ შეედავებათ. სულ ერთია, რა სახელი ერქმევა ამ შენაძენს—ნაციათა ლიგაში წევრათ შესვლა, თუ გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა.

ყოველივე ეს ერთნაირათ შედის მათ აქტივში. ერთნაირათ ზრდის მათ სიმდიდრეს. და რადგანაც ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეშინჯება, ნაპოვნ განძსაც ფასს არავინ არქმევს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, თუ გამოდგა რამე,—ხომ კარგი, თუ არა და, რა დაშავდება ამ შენაძენით,—საჭმელს არა გვთხოვს და სასმელს. ამ ფსიხოლოგიით გამსჭვალული მმართველი პარტია დიდი ხანია აყლაპიებს თავის მრევლს უცხო-უცხო ნაყოფს, რომლის მოპოებაზე მას არც უხნავს და არც უთესია.

ნაციათა ლიგა! საქართველოს მთავრობა მოსურნეა წევრათ შევიდეს ნაციათა ლიგაში, რამდენათაც შეუძლია, საამისო ზომებსაც იღებს, სადაც ჯერ არს შესაფერ მანდატებს და არზებს გზავნის,—ერთი სიტყვით, ცდას არ აკლებს, გამმარჯვე ღმერთია. რა არის ეს ნაციათა ლიგა, რომელშიაც შეიძლება მიღებულ იქნას საქართველო, როგორც სრულ უფლებიანი წევრი? ამაზე ხმას ალარავინ იღებს, რადგან შექმნილ პირობებში საჭიროთ არ მიაჩნიათ არც სიმართლის და არც სიცრუის თქმა. ნაციათა ლიგა ხომ იმპერიალისტური ომის დაგვირგვინებაა, გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოთა ქმნილებაა, ეს ხომ ინტერნაციონალური შეკავშირებაა ქვეყნის მყვლეფელთა და წვრილი ერების მყლაპავთა. ნაციათა ლიგაში ხომ ჯერ გერმანიასაც ვერ მოუხერხებია შესვლა, თუმცა დიდი სურვილი აქვს კუდში მაინც სდიოს მის მოსისხლე მტრებს და მათი დასტურით და თანხმობით რომელიმე ძვალი მაინც ხრას, თუ სათლელ დუმას ვერ იგდებს ხელთ.

რა ადგილი აქვს ასეთ ლიგაში პატარა ერს, თუ მის მთელ საზრუნავ საგანს მართლა თავისი დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენს? რა სარგებლობა უნდა ნახოს მან ამ მგლების ხროვაში გარევით?

წვრილ-ბურჟუაზიული ალაბით საქმის მზომავი ამ საქციელში ხედავს თავის გადარჩენის იმედს, როდესაც სუსტი ძალის ერის ფეხის ხმას აყვება, და მუდამ მისი თვალების მაცქერალი იქნება, შესაძლოა გული მოულბის მას და თავისი ზვარაკათ შეწირვის დღე რაც შეიძლება შორეულ მომავალში მოაქციოს.

ალბათ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ გუშინდელი ბელადები მუშათა კლასისა, რომლებიც საქართველოს დიდ წყალობათ უთვლიან, თუ მათი მეცადინეობით ის ნაციათა ლიგაში მოყვა. მეორე ინტერნაციონალის ბელადები ობიექტიურათ ნაციათა ლიგის აგენტებს წარმოადგენენ და მათი მკვდარი ინტერნაციონალიც ამ ლიგის განყოფილებაა მხოლოდ. აი ამიტომ ეხერხებათ მათ მეორე ინტერნაციონალში შემავალ მენშევიკებს მიუთითონ ნაციათა ლიგაზე და სამართლიანათ უთხრან: რაკი ერთი გწამს, მეორეც უნდა იწამო, რაკი მეორე ინტერნაციონალის წევრი ხარ, ლიგის წევრიც უნდა შეიქნე.

რა უნდა ნაციონალისტს ინტერნაციონალში, ან რა ესაქმება დაჩაგრულ პატარა ერს დიდ მჩაგვრელ ერებში? მეორე ინტერნაციონალს, იმ დროს, როდესაც ის მართლა ინტერნაციონალი იყო, ძალიან ეტანებოდენ პატარა ერების ნაციონალისტები. რა მოსაზრებით? მხოლოთ იმ წვრილ-ბურჟუაზიული ანგარიშით, რომ იქნება აქედან გამოდნეს რამეო! მარა მათი გაწევრებიდან მხოლოთ ის „გამოდნებოდა" ხოლმე, რომ გზაკვალი არეოდა როგორც წვრილი ისე მსხვილი ერების პროლეტარიატს. უეჭველია, უფრო მეტი ბოროტება გამოდნება ნაციათა ლიგის წევრებიდან, თუ მას მალე არ მოუღო ბოლო გამძვინვარებულმა კლასთა ბრძოლამ მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით.

## ჩვენი პარტია.

### გზა და საშუალება ჩვენს გასამარჯვებლათ

მაშ ასე: ჩვენი შეფერხება-დასუსტების ძირითადი მიზეზი ჩვენივე ხალხის ეკონომიურ-იდეოლოგიურ ვითარებაში უნდა მოვნახოთ. ამ მხრიდან თუ დავაკვირდებით, უნდა ვაღიაროთ რომ მთავარი და პირდაპირი მიზეზი აღნიშნულ მოვლენისა არის შემდეგი: ჩვენს ხალხში მთელი ათეული წლობით მენშევიზმის განმტკიცება და აქედან წარმოშობილი მისი შედეგები; რუსეთისგან ქართველი ხალხის ჩამოშორება და საქართველოს ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადება. შემდეგი და უკანასკნელი, თუმცა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, თვით ჩვენსავე პარტიაში მარხია და მდგომარეობს იმაში, რომ ზემოთ დასახელებულ მიზეზების გამო ხალხს ჩვენ დავშორდით.

რა გამოგვიყვანს აქედან, რა „გადაგვაქცევს" ძლევამოსილ პოლიტიკურ პარტიათ,

— ის, რომ „ცეკა, გუბკომები, უეზდკომები, გორკომები, კომიაჩეიკები,—პარტიული წევრები—ერთი ჯაჭვით უნდა გადაებან ერთმეორეს, ერთი მომქმედი, მთლიანი სხეული უნდა შეიქმნან. პარტიის მძიმე ტვირთი პარტიის ყველა წევრმა უნდა გაინაწილოს",—გვიპასუხებს ამხ. ბახტიარი. (იხ. „ახ. კომ.) № 78).

— ჰო, ეს კარგია, მარა თავი და თავი ისაა, რომ „ჩვენ უნდა მოვიწვიოთ პარტიული სიეზდი... ჩვენ უნდა შევქმნათ მომქმედი აპარატი და გამოვიმუშაოთ სამოქმედო გეგმა, უამისოთ... ჩვენ ვიქნებით მხოლოთ წრე, მხოლოთ ჯგუფი, მაგრამ არ ვიქნებით პარტია". ასე სწერს მეორე ამხ., გადამთიელი. (იხილე იგივე № რი).

როგორც ხედავთ პირველი ამხანაგი პარტიის „მთლიანობაზე" გვითითებს, ხოლო მეორე—პარტიულ ყრილობის საჭიროებაზე. პირველიც და მეორეც ერთი მხრით საანბანო ჭეშმარიტებას გვეუბნება და მეც, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო რა მექნება, მხოლოთ აქ დიდათ საყურადღებოა ის, რომ პირველი პარტიას ცნობს, როგორც უკვე არსებულ ფაქტს, ხოლო მეორე ამას უარყოფს. აქ კი ერთიც ცდება და მეორეც, და ყველა მათი დასკვნები და პრაქტიკული ზომები ამ შეცდომიდან გამომდინარეობენ.

ჩვენი პარტია **არსებობს**, როგორც საერთაშორისო პარტია, მარა იმავე დროს ის **არ არსებობს**, როგორც „საქართველოს კომუნისტური პარტია": ამ მხრივ ის „მხოლოთ წრე და ჯგუფია".

დიახ, ჩვენი პარტია, კომუნისტური პარტიაა, როგორც საერთაშორისო პარტია **არსებობს** მსოფლიო მასშტაბით, მისი ხელმძღვანელი ორგანო კომუნისტური ინტერნაციონალია, სადაც ჩვენი წარმომადგენელიც იღებს მონაწილეობას!

დიახ, ჩვენი პარტია, კომუნისტური პარტია **ძლევამოსილია** და უკვე უზარმაზარ სახელმწიფოს ხელმძღვანელობს, რომლის სახელია საბჭოთა რუსეთი!

მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ იგი „საქართველოს კომუნისტური პარტიის სახითაც" არსებობდეს სინამდვილეში. პარტიის არსებობის ნიშანდობლივი თვისება მის მასსიურ გამოსვლებში მდგომარეობს: პარტიას მასასთან დაახლოვება-დაკავშირება ახასიათებს და ასეთ რასმეს კი ჩვენი პარტია, „საქართველოს კომუნისტური პარტია" სრულიათ მოკლებულია. მაშასადამე ის **არ არსებობს**, როგორც პარტია: ის არის, ამხ. გადამთიელის თქმისა არ იყოს, „მხოლოთ წრე და ჯგუფი". და აი ამხ. გადამთიელს ჰგონია, რომ ის პარტიათ გადაიქცევა, თუ ის ერთ კარგ „სიეზდს" მოაწყობს და ერთ კარგ „გეგმას" შეიმუშავებს.

მე კი მგონია, რომ ჯერ მასალა უნდა დაავგროვო და მერე შენობის აგებას შეუდგე. თუ საზოგადოებაში, ხალხში საკმაო პარტიული ელემენტი არ მოიპოვება, ისე ვერავითარი ყრილობით, ცხადია, ვერავითარ პარტიას ვერ შექმნი და კარგათ შემუშავებული გეგმაც უქმათ ჩაივლის.

პარტიის ისტორია გვასწავლის, რომ ჯერ „ჯგუფები და წრეები" მოქმედებენ, ხალხში თავდაუზოგველ პროპაგანდა-აგიტაციას ეწევიან, ყოველ გვარ სახალხო საქმეში ერევიან და ყველგან მასსას უკავშირდებიან. ცდილობენ, რაც შეიძლება ბლომათ შექმნან პარტიული ელემენტები და ბოლოს ადგენენ ამ ელემენტების ყრილობას, იმუშავებენ სამოქმედო გეგმას და იწყებენ მასსიურ გამოსვლებს. აი ბუნებრივი პროცესი პარტიის შექმნისა.

— ჩვენ ეს გზა უკვე გავლილი გვაქვს; ჩვენი პარტიის ელემენტები უხვათ არიან დღევანდელ რევოლიუციური სულით გაჟღენთილ ცხოვრებაში გაფანტული, საჭიროა მხოლოთ მათი თავის მოყრაო, მიპასუხებენ ამხანაგები.

თუ როგორ გვაქვს გავლილი ჩვენ ეს პროცესი, ამას ჩემ მიერ ზემოთ მოკლეთ მოთხრობილი ისტორია მოწმობს, თუ რამდენათ უხვათ არიან გაფანტული პარტიული ელემენტები ჩვენში, ამას კიდევ ნათლათ, გვისურათებს ის გარემოება, რომ ისეთ სამრეწველო ადგილებში, როგორიცაა,—მაგალ. ჭიათურა, ტყიბული და სხვა, სადაც ჩვენი „მუშაობა" უნდა „დუღდეს და გადმოდიოდეს", კომუნისტური ორგანიზაციის ნასახიც არა სჩანს, ერთი იაჩეიკაც არ არსებობს; მაშინ როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ ამ რაიონში კერძო პირებიც ბლომათ არიან და მასსის სულიერი განწყობილებაც (განსაკუთრებით სოფლებში) ბოლშევიკურია. წარმოიდგინეთ, ამაზე დღემდი იმ ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, რომლებზედაც ისეთ იმედს ამყარებს ამხ. ბახტიარი. და ახლა ასეთ „წრეებსა და ჯგუფებს" სურთ ერთი „სიეზდი" მაინც მოაწყონ, კარგი „პლანიც" შეიმუშაონ და პარტია „ააშენონ!".

არა, ამხანაგებო! პარტია ასე არავის აუშენებია და არც აშენდება.

ჩვენ ახლა მაინც უნდა გავიგოთ და ვისარგებლოთ გავლილი გაკვეთილებით. უნდა ერთხელ და საბოლოვოთ გადავწყვიტოთ, რომ მასსას და ხალხს დღუახლოვდეთ, შევიჭრათ მუშათა წრეებში, დაუახლოვდეთ ჩვენს გლეხკაცობას და შევეცადოთ შევადგინოთ მათგან ორგანიზაციები. არ უნდა გაუშვათ ხელიდან არც ერთი შემთხვევა, არც ერთი ლეგალური შესაძლებლობა ხალხთან დაახლოვებისა, მათ გასაგებ ენაზე ლაპარაკისა, მათ საქმეებში ჩარევისა და ამ გზით გავიცნობთ ჩვენს ხალხს და ამით დაგვიახლოვდება ისიც ჩვენ.

აქ შეიძლება ამხანაგებმა ისევ მთავრობის რეპრესიები მომაგონონ და მითხრან: ყველაფერი ეს ჩვენც მხედველობაში გვაქვს, ყოველივე ეს თეორეტიულათ სწორია, მარა საქმე ამ რეპრესიების გადალახვაშია და პრაქტიკულ ზომებშიო.

მართალია რეპრესიებს თავისი მნიშვნელობა აქვს, მარა ის აუცილებლათ დაძლეულ უნდა შეიქნას და აი, ამ მიზნით, პარტიულ დისციპლინის და ტაქტიკური ხაზის შესამუშავებლათ პარტიული ყრილობა მართლაც საუკეთესო საშვალებაა; მარა თავი და თავი ეს არაა, არამედ ის, რომ ყველა ჩვენგანმა კარგათ გაითვალისწინოს წინა წერილში დასახელებული მიზეზები ჩვენი შეფერხება-დასუსტებისა, ჩაუკვირდეს და გამოიყენოს ის გაკვეთილები, რომლებიც მიმდინარე რევოლიუციას საქართველოს ნიადაგზე ჩვენთვის მოუცია და სწორეთ მაშინ შეიმუშავებს განზრახული ყრილობა შესაფერ ტაქტიკას და გეგმას.

**შეცდომის შეგნება, ეს ამ შეცდომის ნახევრათ გასწორებაა.**

რ. კ.

## ინტერნაციონალის გარშემო

### იტალიის პროლეტარიატს.
### ისპოლკომ კომინტერნის მოწოდება

ამხანაგებო! დიდი ამბები თქვენს მხარეში დიდის სისწრაფით ვითარდება. ცხოვრება აყენებს იტალიის სოციალისტურ პარტიას იმავე პრობლემის წინაშე, რომელიც დაუყენა მას წინ მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე მსოფლიო კონგრესმა.

იტალიაში სწრაფად ენთება ცეცხლი: გაფიცვები გაფიცვებზე იმართება, აჯანყება—აჯანყებებზე. საქმე მივიდა მუშათა მიერ ქარხნების და ფაბრიკების მასსიურ დატაცებამდე. მუშათა მოძრაობა იტალიაში ეხლა სდგას გადამწყვეტ შეტაკებების წინ. როგორც ყოველ მსხვილ კრიზისის დროს, ისე ახლანდელ იტალიის რევოლიუციონურ მოძრაობის დროსაც აშკარავდება ნათლად, როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები მოძრაობისა. იტალიის ბურჟუაზია უკან იხევს, და ყველაზე მეტი მოსაქმე იტალიის ბურჟუაზიის, გამოცდილი და გაიძვერა, ბატონი დჟიოლიტი, თავს ისე გვიჩვენებს თითქოს დათმობის გზაზე მიდიოდეს თქვენთან. ის იგებს დროს, ის ცდილობს შეზღუდოს მოძრაობა. იმას სურს, რომ შესწყვიტოს მოძრაობა და ჩააწვინოს ის პროკრუსტეს საწოლში. და პროკრუსტეს საწოლის ვიწრო ეკონომიურ მოთხოვნილებებიდან ის უცდის, რომ თქვენ გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩავარდებით და მაშინ ბურჟუაზია ფეხს დაგაჭერთ თქვენ თავზე. იტალიის რეფორმისტები როგორც მოსალოდნელი იყო გლალატობენ თქვენ. იტალიის რეფორმისტების ხელმძღვანელი ბ-ნი დარაგონა და მასთან ერთათ დჟილიოტი კვალად წინადადებას გაძლევენ, რომ შეჩერდეთ მხოლოდ ეკონომიურ მოთხოვნილებებზე; ხოლო განსაკუთრებულ წერილში ბ ნი ტურატი, პრამპოლინის დარაგონა წინადადებას გაძლევენ თქვენ უარი სთქვათ ქარხნების და ფაბრიკების ხელში ჩაგდებაზე. აღმასრულებელი კომიტეტი კომუნისტურ ინტერნაციონალისა გეუბნებათ თქვენ შემდეგს: „მხოლოდ ქარხნების და ფაბრიკების დაპყრობით თქვენ ვერ გაიმარჯვებთ. ბურჟუაზიი არ მოგცემთ თქვენ არც ფულს, არც ნედლ მასალას, არც ბაზარს. ის შეეცდება შეარცხვინოს მოძრაობა და გული გაუტეხოს მუშებს.

აქედან ჩვენ ვაკეთებთ არა იმ დასკვნას რომ უარი უნდა ვსთქვათ ქარხნების და ფაბრიკების დაპყრობაზე, არამედ ჩვენ ვაკეთებთ იმ დასკვნას, რომ, საჭიროა გაფართოვება ამ დაპყრობის, გაერთიანება მასი, დაყენება საკითხის საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში, სხვა სიტყვებით, საჭიროა გაფართოვება მოძრაობის საზოგადო აჯანყებამდე, ბურჟუაზიის ჩამოსაგდებათ, პროლეტარიატის ძალა უფლების მოსაპოებლად და დიქტატურის მოსაპოებლად.

მხოლოდ ამაშია ხსნა, სხვა შემთხვევაში კი დაშლა და დაცემა დაწყებული მოძრაობისა აუცილებელია.

ინგლისის ზომიერმა პროფ. კავშირებმაც კი მოახერხეს შეექმნათ ლონდონში" მოქმედების საბჭო". თქვენ, იტალიის პროლეტარიატმა, უნდა შეეცადოთ სწრაფად და ენერგიულად დაფაროთ მთელი იტალია გლეხების, ჯარისკაცების და მატროსების მუშათა საბჭოებით.

თქვენ ეხლა უნდა დაუყონებლივ შეიარაღდეთ. თქვენ უნდა თქვენი წრეებიდან გააძევოთ რეფორმისტების წარმომადგენლები. თქვენ უნდა შეაკავშიროთ ყველა არსებული ნამდვილი რევოლიუციონური ძალები ქვეყნის.

იტალიის პარტია უნდა შეიქნეს კომუნისტურ პარტიათ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თქვენ უნდა ეცადოთ, რომ თქვენი ბრძოლა იქნეს შეერთებული და ცენტრალისტური. და თუ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრაობა იქნება გაფანტული, და განცალკევებული, გამარჯვება იქნება, ძალიან ძნელი; თქვენ უნდა გქონდეთ თქვენი გენერალური შტაბი. ეს გენერალური შტაბი — გადახალისებული და განწმენდილი რეფორმისტებისგან კომუნისტური პარტიაა. საბჭოები მუშათა დეპუტატების უნდა დგებოდეს კომუნისტების ხელმძღვანელობით. რაც უფრო ძლიერი იქნება რევოლიუციონური ტალღა, მით უფრო მალე მიაღწევთ თქვენს მიზანს. დრო არ იცდის; დაწყებული მოძრაობა უნდა გააფართოვოთ.

შორს გზიდან გამცემლები და მერყეები! გაუმარჯოს იტალიის ჯარისკაცთა და გლეხთა მუშათა დეპუტატების საბჭოებს!

გაუმარჯოს იტალიის შეიარაღებულ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს საბჭოთა უფლებას იტალიაში!

აღმასრულებელი კომიტეტი კომუნისტური ინტერნაციონალისა.

თავმჯდომარე **ზინოვიევი**.

22 სექტემბერი 1920 წ. მოსკოვი.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან)

## საზღვარ-გარეთ

**წითელ ოქტომბრის დღესასწაული ავღანისტანში**

**ტაშკენტი**, 7 ნოემბ. (რადიო) ოსმალო ამხანაგების მოთხოვნით, რომელნიც იყვნენ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობასთან ავღანისტანში (ქაბულში) საზეიმო სხდომაზე დიდ რევოლიუციის სამი წლის თავის დღესასწაულზე, ავღანელმა ამხანაგებმა გაუგზავნეს მოსკოვში მილოცვა და სალამი.

სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ავღანისტანში რ. ს. ფ. ს. რ. სურიც.

**ალი-ქემალი ოსმალეთის ახალი მთავრობაზე.**

**კონსტანტინოპოლი**, 25 ოქტ. კონსტანტინოპოლში მთავრობის გადადგომის გამო, ალი-ქემალი „პეიამ საბახ“-ში სწერს:

„ჩვენ გვინდა აქტიური პოლიტიკის მთავრობა, არა თუ სიტყვით, არამედ საქმითაც მან უნდა აღიაროს წინააღმდეგია ის თუ არა სევრის ხელშეკრულობის. ჩვენმა ახალმა მთავრობამ უნდა განახლოს ოსმალეთისადმი დიდ სახელმწიფოების ნდობა და უნდა განიმეოროს ძველი მეთოდი, რათა განუცხადოს თავისი აზრი დიდ სახელმწიფოების წარმომადგენლებს სმირნის და ფრაკიის საკითხის შესახებ.

ოსმალეთს სჭირდება მთავრობა, რომელიც არ მიმართავს ყოველ შემთხვევაში საველე სასამართლოებს. ძველი მთავრობის დროს თითქმის ყველა ოსმალები საველე სასამართლოებში ჩავარდენ.

უკანასკნელათ მთავრობამ არ უნდა წაგვართვას ჩვენ ძვირფასი განძის და აზრის თავისუფლება.

**მეთორმეტე კონგრესი ბულგარეთის სინდიკატების.**

**ბათომი**, 7 ნოემ. ბულგარეთიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის სინდიკატების მეთორმეტე კონგრესმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ბულგარეთის სინდიკატების მეთორმეტე კონგრესი, უფარდებს რა თავის მოქმედებას საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობას, უერთდება მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის თეზისებს პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. კონგრესი უცხადებს ზიზღს ამსტერდამის კონფედერაციას ყვითელ პროფესიონალურ კავშირებისას და მხურვალედ ესალმება მოსკოვში ახლად დაარსებულს დროებით საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალურ კავშირებისას და ერთხმად ადასტურებს ფაქტს საერთაშორისო რევოლიუციონურ პროფესიონალურ მოძრაობაში შესვლისას. კონგრესი მოვალეთ ხდის თავს გასწიოს პროპაგანდა წითელ ინტერნაციონალის სასარგებლოდ და დაესწროს საერთაშორისო კონფედერაციის მოწვევას, რომელსაც ადგილი ექნება მოსკოვში 1921 წლის იანვარში.

**ოსმალური გაზეთი საზავო ხელშეკრულების შესახებ.**

**სამხუნი**, 2 ოქტომბ. ოსმალური გაზ. „აქსადა“ სწერს: „ახლა უკვე ცხადია, რომ ექს-ლებენში ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების განხორციელების საკითხი ირჩევა. იტალიელები სხვა და სხვა მიზეზების გამო ოსმალეთის დაწყნარებას უჩქარიან. საფრანგეთის დიპლომატებიც უწევენ ანგარიშს ოსმალეთის დაჩაგრულ ხალხების ხმას.

ამისთვის საფრანგეთმა და იტალიამ გადასწყვიტეს სტამბულ-ანატოლიის უთანხმოებებს ლიკვიდაცია უყონ. პირველ ყოვლისა, წარმოვიდგინოთ და გავითვალისწინოთ, რაში მდგომარეობს სტამბოლის და ანატოლიის უთანხმოება, რა მიზეზებმა შექმნეს მათ შორის ეგ უფსკრული. როდესაც ჩვენ საკითხის განხილვას შეუდგებით, საქმის წვრილმან მხარეებს კი არ მივაქცევთ ყურადღებას, არამედ პირველ ყოვლისა ბედს განაწამებ სამშობლოისას, რომელსაც სიკვდილის განაჩენი აქვს კისრად. სანამ სამშობლო სხვისი უღლის ქვეშ იტანჯება, არავითარი სამშვიდობო მოლაპარაკება მტრებთან არ შეიძლება.

ანატოლიის მთავრობას, დიდ ნაციონალურ კრებას მხოლოდ მაშინ შეუძლია ზავზე ლაპარაკი, როდესაც მძიმე საზავო ხელშეკრულება იქნება გაუქმებული და სმირნაში, ფრაკიაში და აღმოსავლეთ ანატოლიაში იქნება აფრიალებული ოტტომანიის დროშა. ექს-ლებენის დიპლომატებმა იციან ეს და გრძნობენ ამას. შეუძლია განა სასურველ შედეგებს მიაღწიოს ექს-ლებენის დადგენილებამ, როდესაც არსებობს ეს საზავო ხელშეკრულება? და თუ ესინი, იციან რა ასეთი ვითარება საქმის, მაინც არ აკეთებენ სასურველ საქმეს, რა თქმა უნდა ჩვენ უფლება გვაქვს წარმოვიდგინოთ რომ მათ ამჟამ დროს გადაწყვიტეს იმოქმედონ ინგლისზე დათმობის მხრივ საკითხებში და ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი მიაღწევენ ამას. ეს აუცილებელია ევროპის წონასწორობისათვის.

ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ ის პუნქტები საზავო ხელშეკრულებისა, რომლებიც შეეხებიან ხალხის დანარჩენ უფლებებს ოსმალეთში მცხოვრებთ. მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია, რომ ოსმალეთის ხალხი იყოს თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი. ხელი, რომელიც ჩვენ ამას მოგვცემს, ჩვენთვის წმინდა ხელი იქნება.

იმ დროს, როდესაც ანატოლიის ნაციონალური მთავრობა იბრძვის თავის ქვეყნის განსათავისუფლებლათ, სტამბოლის მოღალატე მთავრობა თხვებს უკრაის მოკავშირეების ყოველ ახალ მოთხოვნილებას. მხოლოდ საზავო ხელშეკრულების შეცვლას და ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას შეუძლია დაწყვიტოს უთანხმოების ძაფები.

**ახალი ქვეყანა.**

**ტრაპიზონი**, 23 ოქტ. ანგორის გაზეთი „ენიგიუნი“ ახალი ქვეყნის წარმოშობის შესახებ სწერს:

„ფილოსოფოსების და მეცნიერების სიტყვები, რომელითაც წინასწარ მეტყველებდენ, რომ ძველი ქვეყანა და კაპიტალის ბატონობა არ შეიძლება განგრძობდეს, რომ მან მოსპოს თავისი დრო, ერთ დროს ზღაპრათ, ოცნებათ გვეჩვენებოდა. ახლა კი მათი აზრი მთელი ქვეყნისთვის სახელმძღვანელო აზრათ გადიქცა. ევროპაში არ არის ახლა ისეთი მუშა, რომელიც თქვენ ვერ აგიხსნის თითქმის მათემატიკურის სისწორით სოციალურ მოვლენებს.

და ბოლოს დაემხობა აქამდის არსებული ქვეყანა. დღევანდელი მოძრაობა ამის წინამორბედია. უკანასკნელათ ისტორიული წინასწარმეტყველება სრულდება. ჩვენთვის ე. ი. ოსმალებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ სოციალურ მოვლენების ახსნა-გაგება ისე, როგორც მეცნიერებს, ჩვენთვის კითხვა იმაში მდგომარეობს, — **სახელდობრ რამდენხანს გაგრძელდება** რღვევის პროცესი?

მეცნიერ-ისტორიკოსები ამბობენ, რომ ახლოსაა აღსასრული ძველი ქვეყნის, რომ ახალი ქვეყანა ახლო მომავალში დაარსდება. ახალი ქვეყანა ადამიანური, ჰუმანიური იქნება. ეს ახალი ქვეყანა ჩვენთვის რეალობაა. ის ჩვენ ახალ ცხოვრებას მოგვცემს. ეს არ სჯერათ მხოლოდ იმათ, ვინც სინამდვილეს ვერ ხედვენ, რომლებიც არ უკვირდებიან ცხოვრებას. ყველა ისინი კი, ვინც ცხოვრებას უკვირდება, დარწმუნებულია ამაში. ოტომანიის ოსმალები ყველაზე უფრო დღეს საჭიროებენ სოციალურ მშენებლებს. პირველათ მათ უნდა უხელმძღვანელონ ძველი ქვეყნის დანგრევის და ახალის აშენების საქმეს. ჩვენ ისტორიის წინაშე პასუხს ვაგებთ არა იმისთვის, რომ ისინი არ იყვნენ ახალი ქვეყნის აშენებლები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ თავის დროზე უარვყოფდით მათი ჩვენს ქვეყანაში შემოსვლის საჭიროებას.

## საბჭოთა რუსეთში

**თავმდები პროლეტარიატის გამარჯვებისა.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბერი. „იზვესტიაში“ ამხ. კამენევი სწერს:

„ჩვენი გამარჯვების ძირითადი საფუძველი პირველ ყოვლისა იმაშია, რომ სოციალისტური საზოგადოების შენების საქმე სულ უფრო და უფრო ყველა მშრომელთა საქმეთ იქცევა, რომ ყველა მშრომელი უშუალო მონაწილეობას ღებულობდეს კომუნისტურ აღმშენებლობის საქმეში. ასეთია გამარჯვების პირველი პირობა. პირველი პირობა — რომ ერთი წუთითაც არ შესუსტდეს რევოლიუციონური აღმაფრენა, დღიურ წესრიგში მდგარ ამოცანებისადმი რევოლიუციონური თვალსაზრისით მიდგომა. რევოლიუციონურმა მასსებმა ბურჟუაზია სამი წლის წინათ დაამხვეს. მხოლოდ რევოლიუციონურ მასსებს ძალუძთ სოციალისტურ საზოგადოების შენების საქმე ბოლომდის მიიყვანონ.“

**საბჭოთა ძალა-უფლება და გლეხობა.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბერი. 32 გუბერნიაში გლეხების მიერ მიღებული მიწების რაოდენობის აღწერა მოხდა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამ გუბერნიის გლეხებს 20 მილიონი დესიატინაზე მეტი მემამულეების მიწები მიუღიათ. გლეხების ხელშია სასოფლო სამეურნეო მნიშვნელობის მიწების 97%, ხოლო 3% საბჭოების და კომუნების ხელში.

**სანოვაგის მიწოდება მოსკოვის მუშებისადმი.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბერი. ნელათ, მაგრამ შეურყევლათ უმჯობესდება მუშებისადმი სანოვაგის მიწოდების საქმე. 6 ოქტომბერს, 1917 წელს, მოსკოვში 600 ვაგონი სანოვაგე შემოიტანეს, ხოლო 1920 წელში, ოქტომბერში — 1200 ვაგონი.

**საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე უმჯობესდება.**

**მოსკოვი**, 8 ნოემ. მიუხედავათ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობების მახინაციებისა, საზღვარ-გარეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე თანდათან უმჯობესდება, იზრდება. საბჭოთა რუსეთი ღებულობს ლითონს, ინსტრუმენტებს, მედიკამენტებს, საელექტრონო საგნებს და სხ.

მიღებულია ერთი მილიონი ფუთი სურსათ-სანოვაგე.

**ამნისტიის გამოცხადება ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე.**

**მოსკოვი**, 8 ნოემ. (რადიო) იმპერიალიზმის და მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ყველა ძალები, რომლებსაც უსევდა ანტანტა სამი წლის განმავლობაში პირველს მთელ ქვეყანაში მუშურ გლეხურ რესპუბლიკას, უკუაგდებდა რუსეთის პროლეტარული წითელი არმია და ამარცხებდა მას სასტიკად. ყოველ წლივ საბჭოთა რესპუბლიკა მაგრდებოდა და ამასთან ერთად იწმენდდა გზას ახალ ქვეყნის ასაშენებლად, რომელშიაც არ იქნება არც დაჩაგრული და არც მჩაგვრელი. ჩვენი ეს ბრძოლა გვირგვინდება წითელ არმიის გამარჯვებით ბურჟუაზიის უკანასკნელ დაქირავებულზე ყირიმში, ვრანგელზე. გადამწყვეტ ბრძოლის დროს მშრომლების მტრებზე, ბრწყინვალე დღეს, პროლეტარულ რევოლიუციის სამი წლის თავზე სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია შესაძლებლად შეამსუბუქოს სასჯელი ყველა იმათ, ვინც იყო დასჯილი სახალხო სასამართლოების, რევოლიუციონურ ტრიბუნალის და ადმინისტრაციის მიერ საბჭოთა რესპუბლიკის ღალატისათვის, ამ პირთათვის თავისუფლების წართმევა არ არის აუცილებელი საჭიროება საბჭოთა რუსეთისათვის, ამისათვის ს. რ. ც. ა. კ.ადგენს: 1) გაატაროს ფართო ამნისტია იმ პირთათვის, რომლებიც დასჯილი იყვნენ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის 7 ნოემბრამდის 1920 წ.: ა) სრულიად განთავისუფლება სასჯელისაგან, რომელთაც გადაწყვეტილი ქონდათ სასამართლოების და ადმინისტრატიული ორგანოების მიერ, ბ) დაუყონებლივ განთავისუფლება საპატიმროებიდგან და იძულებითი სამუშაოზე გადაყვანა, თავისუფლების წაურთმევლად ან და ასეთ სამუშაოზე გადაუყვანელათ. 2) დაპატიმრების ვადის შემოკლება. 3) ამნისტია შეეხება, როგორც გასამართლებულებს, ისე გასასამართლებელსაც. 4) რევოლიუციონურმა ტრიბუნალებმა უნდა გადახედონ დაპატიმრებულთა სიას, რომელთაც აქვთ გადაწყვეტილი სამუდამო ციხე და შეუცვალონ ეს სასჯელი დროებითი დაპატიმრებით. 4) ზემოხსე-

## წითელი „რუსეთის დღესასწაული.*)

(ერთი თვალის გადავლებით).

მსგავსი სამი წელი ისტორიას ჯერ არ მოსწრებია. ამ სამი წლის განმავლობაში გაკეთდა იმდენი, რამდენიც წარსულმა ათასეულმა წლებმა ვერ შესძლეს: კაცობრიობის ისტორიის თვალგადაუწვდენელ სივრცეზე ტვირთმძიმენი და მაშვრალნი მუდამ იყვლიფებოდენ, იჩაგრებოდენ, იტანჯებოდენ და გმინავდენ ერთი მუჭა მდიდრების, ამიწათმფლობელების, მოძალადეების, დამჩაგვრელების, გამყვლეფელების და სხ. მძიმე უღლის და მათრახის ქვეშ. წამებულმა კაცობრიობამ მრავალჯერ სცადა თავგანწირული ბრძოლით — აჯანყება-ბუნტებით, რევოლიუციებით, გაფართოებული სამოქალაქო ომებით ერთხელ და სამუდამოთ დაელეწა მრავალფეროვანი, ბარბაროსული და საზიზღარი ტირანის მუხრუჭ-ბორკილები და თავისუფლათ ამოესუნთქა. ამ ულმობელი ბრძოლის დროს უთვალავ-უანგარიშო, თვალსაჩინო და „შეუმჩნეველი“ გმირი დაილუპა, ზღვა-ოკეანე სისხლი დაიღვარა, ბევრისაგან ბევრმა შეუპოვარმა მებრძოლმა საშინელ და გამოუთქმელ წამებაში დალია გმირული სული. მაგრამ ამაოდ: კაცობრიობამ თავი ვერ გაინთავისუფლა ჩაგვრა-მონობისაგან, ვერ შექმნა შრომის ქვეყანა; ვერ ააშენა ამ ქვეყნის სამოთხე.

ის, რისკენაც მიილტვოდა მრავალტანჯული კაცობრიობა თავის წარსულ, უკუნი-წყვდიადით მოცულ ისტორიაში, იქმნება დღეს. 7 ნოემბრიდან (ძვ. სტილ. 25 ოქტომბ.) დაიწყო სრულიათ ახალი, ისტორიაში უხილავი და გაუგონარი, წარმტაცი და გრანდიოზული ხანა ადამიანის ისტორიაში. ოქტომბრის რევოლიუციამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ძველ ჩაგვრა-წამების ქვეყანას და მკვიდრი, ფოლადისებური, შეურყეველი და უძლეველი საფუძველი ჩაუყარა ახალ, ნამდვილ თავისუფლების, შვება-სიხარულის, ძმობა-თანასწორობა-სიყვარულის ხანას, ახალი ოქროს ქვეყანას. 7 ნოემბერს იფეთქა კლასთა ბრძოლის უკიდურესმა და უმწვავესმა ფორმამ, გაფართოებულ-გაძლიერებულმა სამოქალაქო ომმა, რომელიც თან დათან უფრო და უფრო მწვავდება, ღრმავდება და ფართოვდება, რომელიც ელვისებური სისწრაფით მიექანება წინ. 7 ნოემბრის რევოლიუციამ პირველმა გამოუცხადა ულმობელი „ომი სასახლეებს და მშვიდობა ქოხებს“.

ნოემბრის რევოლიუციის წინაშე საშინლათ ძრწიან და კბილებს აკრაჭუნებენ მდიდრები, ყოველი ჯურის მჭლეველები და მუქთა-ხორები. ნოემბრის რევოლიუციას სასოებით შეჰყურებს მთელი ქვეყნის ტვირთ-მძიმენი და დაჩაგრულები. ნოემბრის რევოლიუციამ საქმით განახორციელა ჩვენი გენიოსი მასწავლებლების — მარქს-ენგელსის უდიდესი ანდერძი, რომელიც უტიფრად ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო პროლეტარიატის საზიზღარმა მოღალატეებმა — მენშევიკებმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ნოემბრის რევოლიუციამ მკვიდრათ და მკაფიოთ დაჰყო მთელი კაცობრიობა ორ უზარმაზარ ბანაკად: ერთია ბანაკი სოციალიზმ-კომუნიზმის; მეორე — კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის. ერთია ბანაკი კაცობრიობის დიდი უმრავლესობის — ცხრა მეათედის. მეორე ბანაკს შეადგენს კაცობრიობის ერთი მუჭა — უმცირესობა, ერთი მეათედი. კომუნიზმის ბანაკში თავს იყრიან მთელი ქვეყნის მშრომელნი, დაჩაგრულ-დამონებულნი, ტანჯულნი და განაწამებნი. იმპერიალიზმის ბანაკი აერთიანებს და იხიდავს მთელი ქვეყნის მუქთა-ხორებს, გამყვლეფელებს, დამჩაგვრელებს, მოძალადეებს, არამზადა-გაიძვერებს, სულით და ხორცით გარყვნილ-გახრწნილ-გათახსირებულთა, ყაჩაღ-ავაზაკებს.

ეს ორი ბანაკი ორი თანამედროვე სოციალური კლასია. ერთი მხრით დგანან მთელი ქვეყნის პროლეტარები, და ნახევრათ პროლეტარები, რომლებიც მჭიდროთ შეკავშირებულნი, გაჭირვებულ-გადაკაწრულნი, შეხამებულ-შედუღებულნი არიან ერთმანეთთან საერთო კლასიური ინტერესებით. მეორე მხრით დგანან მთელი ქვეყნის ბურჟუა-კაპიტალისტები და მიწათმფლობელები, ესენიც საერთო კლასიური ინტერესებით არიან გამსჭვალულ-შეკავშირებულნი. ამ ორ სოციალურ ბანაკს შორის სასტიკი შეურიგებლობის, განუსაზღვრელი სიძულვილის, ანტაგონიზმის და დიამეტრალური შეურიგებელი წინააღმდეგობის უძირო უფსკრულია გათხრილი, უზარმაზარი კედელია აღმართული. ერთის წარმატება და ბედნიერება, მეორის გაყვლეფას და უბედურებას ნიშნავს. ერთის დიდი ხნის სიცოცხლე და განცხრომა, მეორეს ხანმოკლე, გაწამებულ სიცოცხლეს ბადებს.

სამი წლის განმავლობაში ეს ორი ბანაკი სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვის ერთმანეთს. ორივე ბანაკის წინაშე დგას კითხვა ყოფნა არ-ყოფნის შესახებ. აქ კომპრომისით, მორიგებით და შეთანხმებით საქმე არ შეიძლება გათავდეს. აქ ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი შერიგება, სულის მოთქმა, დასვენება, პაუზა შეუძლებელია. ორივე მხარე იბრძვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ან სიკვდილი, ან გამარჯვება სხვა გზა არაა. ორივე გაფთრებულ-გალომებული ებრძვის ერთმანეთს. ორივე მიმართავს ბრძოლის ათას გვარ ხერხს, რომ მოსისხლე მტერი წაქციოს და გაანადგუროს. ბრძოლა შესწყდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ბანაკი სრულიათ გასრესს-გაანადგურებს მეორეს და ააფრიალებს ძლევა-მოსილ დროშას.

რა უნდა ერთს? საითკენ მიილტვის მეორე? ერთს უნდა მონობის, ჩაგვრის, გაყვლეფის, ტანჯვა წვალების და ათასგვარ ბოროტების მოსპობა. მეორეს კი უნდა შეინარჩუნოს შესისხლხორცებული პრივილეგიები, უპირატესობანი, ათეული და ასეული მილიონ მშრომელების განუსაზღვრელი ყვლეფა, ჩაგვრა და დამონება. ერთს უნდა შექმნას სრულიად ახალი წყობილება, ახალი ქვეყანა, შრომის სამეფო, ნამდვილი თანასწორობა, ნამდვილი თავისუფლება, ნამდვილი ბედნიერება, როცა თითოეულს ექნება საყოფათ ყველაფერი, რასაც კი საჭიროებს, რასაც მოითხოვს მისი განახლებული, გადახალისებული, გაფაქიზებულ გასპეტაკებული, „განკაცებული“ ბუნება, და როცა თვითეულისაგან მოითხოვენ ყველა იმის გაკეთებას, რის უნარი, ნიჭი და ხალისი ექნება მას. მეორეს უნდა აღადგინოს და კვლავ სამუდამოთ გაამაგროს ისეთი წყობილება, როცა ერთ მუჭა მუქთახორებს და არამზადებს საშუალება ექნებათ ყვლიფონ, ჩაგრონ, სისხლი სწოვონ, ტანჯონ და აწამონ მშრომელთა მილიონები, რომ მხოლოთ თვითონ განცხრომა, ნეტარებასა და გარყვნილების მორევში იცურაონ.

კომუნიზმის წითელ დროშაზე სწერია: მთელი ქვეყნის მშრომელნო და

*) ეს წერილი დაგვიანებით მოგვიდა. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულმა დაწესებულებებმა უნდა გადახედონ გასამართლებულთა სიას, რომელთაც აქვთ გადაწყვეტილი ციხე სამოქალაქო ომის გათავებამდის, ეს პირები ან განთავისუფლონ და ან შეუცვალონ სასჯელი 5 წლის დაპატიმრებით, ამასთანავე ჩაეთვალოს დრო, ციხეში ჯდომისა. 5) დაევალოს დაწესებულებებს, გადახედონ იმ პირთა სიას რომლებსაც ჰქონდათ მისჯილი სიკვდილი და თუ არაა სისრულეში მოყვანილი, 1920 წლის 7 ნოემბრამდე, შეუმსუბუქონ ეს სასჯელი.

6) დაევალოს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას და მის განყოფილებებს, ერთი თვის განმავლობაში გადაათვალიერონ ყველა მძევლების და სამხედრო ტყვეთა სია და განთავისუფლონ მათ შორის ისინი, ვისი დატოვებაც აუცილებელი საჭირო არ არის. 7) შეღავათი მიეცეს როგორც პიროვნულ, ისე ქონებრივ სასჯელის მხრივ სრულიათ განთავისუფლებამდისაც კი ჯარიდან გაქცევისათვის ან და ამ გამოქცეულთა შენახვისათვის. განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან იმ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულისათვის ისინი, ვისზედაც ეს სასჯელი არ არის მოყვანილი სისრულეში 1920 წლის 7 ნოემბრამდის. 8) დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარს, შედგენილ იქნას შესაფერი ინსტრუქცია ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ და აგრეთვე დაევალოს მას თვალყური ადევნოს მის სისწორით შესრულებას. 9) დადგენილება მოყვანილ იქმნას სისრულეში ტელეგრაფის საშუალებით.

ს. რ. ა. კ. თავმჯდომარე **კალინინი**, მდივანი **ენუქიძე**.

**რევოლიუციონურ სწავლა-განათლების საქმე.**

**მოსკოვი**, 8 ნოემბ. ამხ. ლუნაჩარსკი ჯამს უკეთებს იმას, რაც გაკეთდა სწავლა-განათლების საქმეში ამ სამი წლის განმავლობაში და სწერს, რომ მიუხედავათ ჩვენი ცხოვრების უარყოფითი მხარეებისა, მიუხედავათ სამი წლის ომისა მსოფლიო მტაცებლებიან და მიუხედავათ ცხოვრების არევდარევასთან ბრძოლისა, ჩვენ ბევრი რამე გავაკეთეთ კომუნისტურ სწავლა-განათლების ფრონტზე. სტატიის შემდეგ ნაწილში მოყვანილია ციფრებითი ცნობები ყოველივე იმისი, რაც გაკეთებულა სამი წლის განმავლობაში. შემუშავებულია ერთიან შრომის შკოლის დეკლარაცია, რომელიც გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენებზე. დეკლარაცია დეტალურათ განიხილეს და მოწონებულ იქნა როგორც პროლეტარულ წრეების მიერ, ისე დას. ევროპის პედაგოგების მიერ. კონტრ-რევოლიუციონური მასწავლებლობა აღარ იარსებებს. შედგა სოციალისტურ კულტურის შკოლის მოღვაწეთა კავშირი. კავშირის უკანასკნელ სიეზდზე 30 პროცენტი კომუნისტები იყვნენ, რომლებიც სიმპატიით ეპყრობიან სწავლა-განათლების ახალ ფორმებს. სწავლა სავალდებულო. შკოლების რიცხვს მიემატა კიდევ 12 ათასი შკოლა. მოსწავლეთა რიცხვი სამნახევარ მილიონიდან გაიზარდა ხუთ მილიონამდის. პროფესიონალურ ტეხნიკურ დარგში პირდაპირ რევოლიუცია მოხდა. შესდგა ცენტრი—მთავარი კომიტეტი პროფესიონალურ სწავლა-განათლების საქმეში, რომელიც უხელმძღვანელებს პროფესიონალურ ტეხნიკურ სწავლის საქმეს მთელს რესპუბლიკაში. ეს კომიტეტი თავის მოქმედებას უკავშირებს ყველა საწარმოვო კომიტეტების და ცენტრალურ ეკონომიურ ორგანოების მოქმედებას. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა გამრავლებულ იქნას პროფესიონალურ ტეხნიკურ დაწესებულებების რიცხვი.

უმაღლეს შკოლის სფეროში გატარებულია დიდი მნიშვნელობის რეფორმა, მიღებულია ზომები მისი პროლეტარიზაციისათვის. ყველას მიეცა საშვალება შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში მუშათა ფაკულტეტებზე. ამ წელში გახსნეს 24 მუშათა ფაკულტეტი, სტუდენტების საერთო რიცხვი უდრის 17,000.

სკოლის გარეშე განათლების სფეროშიაც გაკეთებულია ძალიან ბევრი. მთელი რუსეთი მოფენილია სახალხო სახლების და სამკითხველოების ქსელით. მიყრუებულ ადგილებს, რომლებსაც თავის დღეში წიგნი არ უნახავთ, დღეს აქვთ მთელი რიგი სამკითხველოებისა. ერთ დიდ რეფორმად სასკოლო განათლებისა უნდა ჩაითვალოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. არის იმედები, რომ 4 წლის შემდეგ რუსეთში არ იქნება წერა-კითხვის არც ერთი არ მცოდნე.

ხელოვნების სფეროში შენახულია ყველა ძველი განძები, ძეგლები და სასახლეები, მუზეუმები ხელ-მისაწვდომი გახდენ პროლეტარულ მასსებისათვის. დიდი თეატრების კარები ღიაა მუშებისათვის და გლეხებისათვის, გადიდებულია მხატვრული ხასიათის სასწავლებლების რიცხვი. ამ სფეროში ჩვენი გამარჯვებებით შეგვიძლია ვიამაყოთ ევროპის სახელმწიფოების წინაშე. როგორც რეზიუმე ამხ. ლუნაჩარსკი სწერს, რომ თუ დღემდის განათლების ფრონტს ნაკლები ყურადღებას ვაქცევდით სამხედრო და შრომის ფრონტების გამო, დღეიდან ეს ფრონტი მიიქცევს მთავარ ყურადღებას. საბჭოთა რუსეთი განათლების დარგში იქნება მაგალითის მაჩვენებელი დაწინაურებულ და განათლებულ მეზობლებისათვისაც კი.

ახალ წესებს თავისი მმართველობის საუცხოვო ორგანო აქვს.

ამ ახალ ცხოვრებას სდარაჯობს მსოფლიო მტაცებლებთან ბრძოლებში გამობრძმედილი წითელი არმია. შრომის რესპუბლიკა ცხოვრობს: აკეთებს ორთქლმავლებს, ამზადებს შეშას და ავსებს ხორბლით ბეღლებს. ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ თვალსაჩინოთ გავიზარდეთ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოუცდელი ხელით ახალი ცხოვრების შენებას შეუდექით. ჩვენ მივიღეთ ბურჟუაზიისაგან სამკვიდროთ განადგურებული მეურნეობა. ბურჟუაზიამ, დაინახა რა ჩვენი ჩამორჩენილობა, მოიწადინა პროლეტარიატის დიქტატურის ჩამოგდება. მან განიზრახა სასტიკათ დაესაჯა თავისუფლების მოტრფიალენი. წითელი არმიის პირველი რაზმები თავისი გამოუცდელობის გამო უფრო მიტინგობდენ, ვიდრე ომობდენ. ჩვენ გვემუქრებოდა საფრთხე გერმანიის იმპერიალისტების და იუნკერების მხრივ. გერმანიის რევოლიუციამ გვიხსნა ჩვენ ამ საფრთხისაგან. მაგრამ ნაცვლათ გერმანიის კონტრ-რევოლიუციისა მოგვევლინენ სულიწმინდა მისი მოკავშირეები. ისინი შეიარაღდენ, ალიფურვენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მათ არსებობას.

ამას გარდა განზრახული ჰქონდა რუსეთი თავის კალთიდან ექციათ და ებიდნათ იქედან პური, ხე-ტყე და ოქრო. მოკავშირეები ხან აქეთ ხან იქით ასკდებოდენ, აწყობდენ თეთრ გვარდიელთა ბანდებს. მაგრამ, რამდენათ უფრო მძაფრდებოდა სამოქალაქო ომი, იმდენათ უფრო კაჟდებოდა ჩვენი წითელი არმია. 1920 წელს იგი სამუდამოთ სპობს ძველი მონარქიის ყველაზე უფრო დიდ ნაშთებს—დენიკინს და კოლჩაკს.

როდესაც ჩვენ გმირულათ ვიცავდით ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ზღუდეებს, ჩვენი მეურნეობა საშინელი საფრთხის ქვეშ იდგა: რკინის გზები დანგრეული, მრეწველობისთვის სათბობი მასალა არ იყო, სამრეწველო, თეატრებისათვის სანოვაგის მისაწოდებლათ არ იყო გადასატანი საშვალებები.

მაგრამ რუსეთის კონტრრევოლიუციის განადგურების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკამ ყველას „შრომის ფრონტზე" მოუწოდა. და გაჩაღდა მუშაობა. დაიწყეს ორთქმავლების და ვაგონების შეკეთება, შეშის დამზადება, ნახშირის დაგროვება, რუსეთის მრეწველობის საკვამლე მილებიდან იწყო დენა კვამლმა.

პოლონეთთან ომმა სამეურნეო რღვევასთან ბრძოლა დროებით შეაჩერა. ანტანტის ბირჟის დაქირავებულმა პოლონეთმა ჩვენ ომი გამოგვიცხადა. ეს ახალი გამოცდა იყო ჩვენი. ჩვენ საქვეყნოთ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ნამდვილი დიდი ომის წარმოება. და მსოფლიო ბირჟაზე ჩვენ დიდი სახელმწიფოთ გვიცნეს. ამნაირათ, მკაცრი ბრძოლების პროცესში განვითარდა და მოღონიერდა საბჭოების წითელი რესპუბლიკა, ყველა ქვეყნის პროლეტარიატი ჩვენ სასოებით შემოგვყურებენ. ამას კბილთა ღრჭენით შეჰყურებს მსოფლიო ბურჟუაზია, საბჭოთა რუსეთი ებრძვის ამ ჟამათ მეფის უკანასკნელ ნაშთებს—ვრანგელს, საიდანაც და თან ავიწროებს მას და მალე მთლადაც მოსპობს.

უკანასკნელი მტრების მოსპობა და ახალი ცხოვრების შენება—აი უკანასკნელი ლოზუნგი საბჭოთა რუსეთისა.

# დღიური.

**ბულგარეთის სინდიკატების მე-12 კონგრესმა გადასწყვიტა შეუერთდეს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.**

**„ტანის" აზრით ბალშევიკების დამარცხება შეიარაღებული ძალით ყოვლად შეუძლებელია.**

**გერმანიაში გაფიცვები იზრდება.**

**ინგლისში საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება.**

# რევოლიუციის ფრონტებზე

**სამხედრო ოპერატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის „რევოენსოვეტისა" 8 ნოემბრიდან**

მოსკოვი 9 ნოემ. (რადიო) სამხედრო დასავლეთის ფრონტი. მაზრის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა უკუაგდეს ბალახოვიჩის შემოტევა მაზრის დასავლეთით 45 ვერსზე.

ლეტინის და მდ. დნესტრის რაიონში პეტლიურას ნაწილები ცდილობენ თავდასხმას ჩვენს მდებარეობაზე.

**სამხრეთის ფრონტი**

მხედრობის ძლიერი მოქმედებაა.

რესპუბლიკის საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ კლიმ.

**ვრანგელის დარტყმა—მსოფლიო კაპიტალის დარტყმაა.**

მოსკოვი, 8 ნოემბ. (რადიო). ვრანგელის უკან დახევასთან ერთად, უკან იხევს საფრანგეთის და გერმანიის შეგროხმული პრესა. საფრანგეთის ბურჟუაზიის პრესის გოდება გვიჩვენებს, რომ ვრანგელის დამარცხება მოხვდა იმათ მტკივან ადგილას. საფრანგეთის ბირჟის მთავარი ორგანო „ტანი"-ი სწერს: „სამხედრო ზომებით ბალშევიკების დამარცხება შეუძლებელია".

**უკვე გვიანაა**

მოსკოვი, 8. ნოემბ. (რადიო). საფრანგეთის ესკადრამ, რომელიც 6 კრეისერისაგან და რამდენიმე ნაღმოსანისაგან შედგებოდა, გაიარა ვარნასთან და სევასტოპოლისაკენ გაემგზავრა.

**ბედნიერი წყვილი**

მოსკოვი, 8 ნოემ. (რადიო). პილსუდსკი მივიდა პეტლიურას მთავარ კანცელარიაში, სადაც პეტლიურასთან ერთად იმსჯელა ფრონტის მდგომარეობაზე.

**სამშვიდობო მოლაპარაკება მიმდინარეობს**

მოსკოვი, 8. ნოემბ. (რადიო). პოლონეთის სამშვიდობო დელეგაცია რიგაში გაემგზავრა.

**თეთრი ტერორი უნგრეთში**

მოსკოვი, 8. ნოემ. (რადიო). უნგრეთის კომუნისტებმა მიმართეს მოწოდებით დასავლეთის მუშებს, რომელშიაც ლაპარაკობენ:

„ნუ თუ ვერ ხედავთ ათასობით სახრჩობელებს უნგრეთის ტერიტორიაზე. ნუ თუ არ გესმით ათას მსხვერპლის გოდება. დასავლეთის ბურჟუაზია მძინვარებს უნგრეთში".

მოწოდება თავდება მხურვალე მიმართვით რათა დაეხმარონ უნგრეთს.

**ოქტომბრის რევოლიუციის დღე საფრანგეთში**

მოსკოვი, 8 ნოემ. (რადიო). საფრანგეთში დაიწყო სოციალისტური კამპანია საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ. მესამე ინტერნაციონალის კომიტეტმა საფრანგეთში 7 ნოემბერს მოაწყო ვეებერთელა მიტინგი საბჭოთა რესპუბლიკის სამი წლის თავის აღსანიშნავად.

**საბჭოთა რესპუბლიკის დახაცავად.**

მოსკოვი, 8 ნოემბ. (რადიო). ჩერნიგოვის მაზრის, სოფ. ანტონოვკის მოქალაქეებმა გააგზავნეს თავისი შვილები ვრანგელის წინააღმდეგ საბრძოლველად და დაუმზადეს მათ საჭირო ტანისამოსი, ფეხსაცმელები და სურსათ-სანოვაგე.

# რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბალშევიკების) წესდებიდან.

**10. პარტიული დისციპლინა.**

50. უსასტიკესი პარტიული დისციპლინა უპირველესი მოვალეობაა პარტიის ყველა წევრებისა და ყველა პარტიულ ორგანიზაციებისათვის. პარტიული ცენტრების დადგენილებები სწრაფად და სისწორით უნდა იქნას ასრულებული. ამასთანავე პარტიის შიგნით პარტიული ცხოვრების ყველა სადაო კითხვების განხილვა სავსებით თავისუფალია მანამდის, სანამ გადაწყვეტილება არაა მიღებული.

51. უმაღლეს ორგანიზაციების დადგენილებების შეუსრულებლობას და სხ. დანაშაულთ, რომლებსაც პარტიის საზოგადოებრივი აზრი დაუშვებლათ სთვლის, თან სდევს: ორგანიზაციისათვის—გაკიცხვა, ზემოდან დროებითი კომიტეტის დანიშვნა და საერთო ხელახალი რეგისტრაცია (ორგანიზაციის დაშლა); პარტიის ცალკე წევრებისათვის კი—პარტიული გაკიცხვა, საჯარო გაკიცხვა; დროებითი გადაყენება საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობიდან, დროებითი გადაყენება ყოველგვარ პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობიდან, გამორიცხვა პარტიიდან დანაშაულის შესახებ ადმინისტრაციისა და სასამართლოს დაწესებულებათა შეტყობინებით.

52. სხვა და სხვა დისციპლინარულ დანაშაულობათა გასარჩევად თვითეულ კომიტეტს უფლება აქვს დანიშნოს სპე-

დაჩაგრულნო, შეერთდით მსოფლიო ავაზაკების წინააღმდეგ! იმპერიალიზმის თეთრი დროშა მოუწოდებს: მთელი ქვეყნის ავაზაკებო, შეერთდით მშრომელთა წინააღმდეგ! მთელი ქვეყნის მშრომელნო, გაჟლიტეთ ერთმანეთი!

კომუნიზმი—ეს უდიდესი, უმშვენიერესი და უბრწყინვალესი ვარსკვლავია, რომლისკენაც მუდამ მიილტვოდა, მიისწრაფოდა გრძნობა-გონება, ოცნება-ნატვრა ტანჯულ-წამებულ კაცობრიობისა. დღევანდლამდე ეს ბრძოლა და მისწრაფება უფრო მეტათ იყო შეუგნებელი, ბუნდოვანი და სტიქიური, დაჩაგრულები და მათი მრავალი მოციქულები საუკუნოებით გმირულათ კვდებოდენ ბრძოლის ველზე, გამოუთქმელ ტანჯვა-წამებას იტანდენ, რომ შეექმნათ უკეთესი მომავალი, მარა მათ არ ქონდათ გარკვეული და ნათლათ წარმოდგენილი ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ყველა უნდა გაებედნიერებია.

ნოემბრის რევოლიუციამ ნათლათ და მკაფიოთ დააწერა თავის დროშაზე, თუ საითკენ და როგორ უნდა მიილტვოდენ მთელი ქვეყნის დაჩაგრულები.

სამი წლის ტიტანიურმა საზღაპრო ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ნოემბრის რევოლიუციის მიერ აღებული სოციალ-პოლიტიკური კურსი ზედმიწევნით სწორია. ნოემბრის რევოლიუციის მიერ აფრიალებული წითელი დროშა გადაიქცა უზარმაზარ ანდამატათ, რომელიც საშინელის სიძლიერით იზიდავს თავისკენ მთელი ქვეყნის დაჩაგრულებს. კომუნიზმის ფრონტი აერთებს ყველას, ვისაც მტკიცე სურვილი და უნარი აქვს იბრძოლოს უკეთესი მომავლისათვის.

კომუნიზმის მოსისხლე მტერია მხოლოთ ის, ვისაც შესისხლხორცებული აქვს სხვების გაყვლეფა, ჩაგვრა და დამონება, ვინც იკვებება სხვისი სისხლით ვინც მიჩვეულია ფუფუნებით და უშრომლათ ცხოვრებას, ვინც ავაზაკური წყობილებით სრულიათ კმაყოფილ-ბედნიერია და სხვანაირათ ვერც წარმოუდგენია ცხოვრება. კომუნიზმს გაურბიან მხოლოთ მეშჩანები, სულით ღატაკნი, (მდიდარი თუ ღარიბი—ეს სულერთია), რომელნიც სიამოვნებით ურიგდებიან ყოველგვარ ცხოვრებას—თუ გინდ ჯოჯოხეთურსაც კი, ოღონდ ბრძოლას ნუ გააგონებ და მის საკუთარ, წყნარ, კარჩაკეტილ და პირუტყვულ ყოფნას ნუ შეუშფოთებ.

კომუნიზმი ეს გიგანტიური მნათობია, რომლის ძლიერი სხივები წვდებიან ყოველგან, დედა-მიწის ყველა კუთხე—ჯურღმულებშიაც კი და გზას უნათებს ახალი ქვეყნისაკენ ყველა მშრომელებს, რაც უნდა კულტურის დაბალ საფეხურზეც იდგენ ისინი.

ოთხი წლის საშინელმა იმპერიალისტურმა ომმა მთელი ქვეყნის მშრომელთ აუხილა თვალები. თუ რა არის იმპერიალიზმი,—ეს ცხადია გარდა ყველასათვის, ვისაც რაიმე წარმოდგენა მაინც აქვს იმ ბნელ ძალებზე, იმ კონტრ-რევოლიუციაზე, რომელიც სამი წელიწადია გაცოფებული ებრძვის კომუნისტურ რევოლიუციას. დენიკინი, კოლჩაკი, იუდენიჩი, პილსუდსკი, ვრანგელი, პეტლიურა, „დემოკრატიული" ფინლიანდია, ლიტვა, ესტონია, ხან ხორისკი, ოგანჯანიანი და სხ. ყველა ესენი მსოფლიო იმპერიალიზმის დაქირავებული და მოსყიდული ქოფაკები და აგენტებია, დიდი და პატარა ნოქრებია, რომელთაც ქონდათ და აქვთ დავალებული რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სისხლში ჩახრჩობა, მაგრამ ამაოთ.

მშვენიერი და წარმტაცი იდეალია კომუნიზმი და მისი მატარებელი—ნოემბრის რევოლიუცია, ვინაიდან მხოლოთ მასშია ტანჯული კაცობრიობის ხსნა. რამდენათ საძულველი, ავაზაკური, მხეცური, კანიბალური, ბინძური და საზიზღარი უნდა იყოს იმპერიალიზმი, რომელიც ამაოთ ცდილობს მის გასრესას და მთანთქმას! მარა მევრათ უფრო საზიზღრები არიან ის მსოფლიო კაცუნებიები—მენშევიკები, რომლებიც სიტყვით სოციალისტობენ, საქმით კი ლორდ ჯორჯების, კლემანსო—მილიერანების და ვილსონების ავაზაკური ნების აღმასრულებელნი არიან.

კომუნისტთა წარმტაცი იდეალია, მარა იდეალიც არის და იდეალიც. არის იდეალები მორეული, ზოგი განუხორციელებელიც. რუსეთის პროლეტარიატის სამი წლის ტიტანიურმა ბრძოლამ კომუნიზმი ისე დაუახლოვა კაცობრიობას და კაცობრიობა კომუნიზმს, რომ ეს იდეალი უკვე სანახევროთ განხორციელებულათ და ხორც-შესხმულათ უნდა ჩაითვალოს. დღეს კომუნიზმი მორეული ოცნება და ნატვრა ფანტაზია კი აღარაა, არამედ ცხოვრების სინამდვილე—რეალობაა. კომუნისტური იდეებით გაცოცხლებულია დღეს მთელი ქვეყნის ტვირთ მზიდთა რევოლიუციონური მოძრაობა. სამი წლის განმავლობაში მსოფლიო ავანსცენაზე მოქმედებს ორი ძალა, ორი გიგანტი, ორი კოლოსი, რომლებიც გამმაგებულ გააფთრებულნი ებრძვიან ერთმანეთს მიწასთან გასასწორებლათ.

რით დასრულდება ეს მსოფლიო დუელი, ეს ტიტანების სამკვდრო-სასიცოცხლო ქიდილი? ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში?

გაიმარჯვებს ის ბანაკი, რომელსაც სწყალობს ისტორია; გაიმარჯვებს ის ძალა, რომელიც განწირულია ისტორიის მიერ. კომუნიზმი წარმოადგენს ამომავალ ძალას კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, მაშასადამე, ის აუცილებელი საფეხურია ამ განვითარების.

კომუნიზმის დამყარება-განმტკიცებით შესწყდება ძალმომრეობის, დაჩაგვრის, დამონების, კლასთა ბრძოლის ისტორია, ე. ი. შესწყდება პირუტყვული, მხეცური ისტორია კაცობრიობის განვითარების და დაიწყება ახალი, ნამდვილი ადამიანური ისტორია, როცა ადგილი აღარ ექნება კლასებს და კლასთა ბრძოლას, ძალმომრეობას, ჩაგვრა—ყვლეფას, საზიზღარ „შენ—ჩემობას", პირად და კლასიურ ეგოიზმს, პრივილეგია—უპირატესობას, ნივთიერ და მჩაგვრელ უთანასწორობას; როცა კაცობრიობა წარმოადგენს ერთ ორგანიულ, განუყოფელ-განუთიშველ მთელს, გამსჭვალულს უმწვერვალესათ განვითარებულ ერთობის, სოლიდარობის გრძნობა—მისწრაფებით, რომლის შემადგენელი ელემენტები, პიროვნებები, ინდივიდები მიუდგომლათ, ნებისით ახორციელებენ დაუწერელ, ბუნებრივ სოციალურ კანონს: ერთი ყველასათვის, ყველა—ერთისათვის; როცა საზოგადოება, კომუნა, კოლექტივი და ცალკე პიროვნებები ჩაყენებული იქნებიან ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარების საუკეთესო პირობებში; როცა უმაღლესათ განვითარებული კოლექტიური, ამხანაგური, საზოგადოებრივი, კოოპერატიული ცხოვრება შეგუებულ—შეხამებული, შეთანხმებულ-შემტკბარებული იქნება თვითეულის უმაღლესათ განვითარებულ ინდივიდუალობასთან.

**თავის მტერი.**

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაპიტალიზმს თავისივე საკუთარი ბუნება აიძულებს, რომ ამა თუ იმ „სამშობლოს" საზღვრები გადალახოს და ყველგან შეიჭრას, სადაც-კი საერთაშორისო აღებ-მიცემობას ფეხი შეუდგამს. კაპიტალიზმმა შექმნა უკანასკნელი სულ ახალი ფორმა სამშობლოს იდეისა და თვითვე კაპიტალიზმია ის მძლავრი ეკონომიური ფაქტორი, რომელიც ამ იდეას ნიადაგს აცლის და ფუშავს. ექსპლოატატორთა და მშრომელთა შორის დამოკიდებულება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში თავისი არსებით ერთი და იგივეა,—თუმცა ადგილობრივ განსხვავებას მცირე მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყნის შეგნებული პროლეტარი უცხო ქვეყნის პროლეტარისადმი გაცილებით მეტ ნათესაობასა გრძნობს, ვიდრე თვის, თანამემამულე—კაპიტალისტებისადმი. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის პირობები მოითხოვენ, რომ სოციალისტური რევოლიუცია, რომელიც კაპიტალის ბატონობას ბოლოს მოუღებს, საერთაშორისო იყოს. ამიტომ სამშობლოს იდეა შეგნებული მუშის გონებაში თავის თავათ ადგილს უთმობს გაცილებით უფრო ფართო იდეას რევოლიუციონურ კაცობრიობის სოლიდარობისას, ე. ი. „მთელი ქვეყნის პროლეტარიატთა სოლიდარობის იდეას; და რაც უფრო ფართოთ იზრდება თანამედროვე მუშათა მოძრაობის აზვავებული მდინარე, მით პროლეტარიზმის იდეა უფრო და უფრო გზას უთმობს ინტერნაციონალიზმის ფსიხოლოგიას.

გ. პლეხანოვი. „პატრიოტ. და სოციალიზ". (გვ. 11—12).

ციფლურად სხდომები, შეადგინოს სპეციალური კომისიები, ხოლო ეს უკანასკნელნი მუდმივ პარტიულ სასამართლოებად არ უნდა გახდენ.

53. დისციპლინარულ დანაშაულობებს იხილავენ კომიტეტები და საზოგადო კრებები ჩვეულებრივი წესით დადგენილ ინსტანციების მიხედვით.

## წერილი № 2 საგ. ციხიდან

შევასრულე 4 თვე და 10 დღე დღიდან დაპატიმრებისა და ძლივს მეღირსა გამოცხადება შემდეგი დადგენილებისა.

პატივცემულო მკითხველნო, მინდა გაგაცნოთ შინაარსი 1-ლი და 2-რე დადგენილებისა.

1-ლი დადგენილება: 1920 წლის 21 ივნისი. მე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა რაზმის უფროსმა კედიამ მივიღე რა მხედველობაში რომ პავლე იოსების-ძე მარდალეიშვილს ბრალდება ფარული აგიტაციის გაწევა მოქალაქეთა შორის და ჯარში მობილიზაციის და მთავრობის წინააღმდეგ და არა ლეგალური მუშაობა, დავადგინე, ზემოხსენებული პირი დაპატიმრებული იქნას საგუბერნიო № 2 საპყრობილეში ჩარიცხვით შინაგან საქმეთა მინისტრზე და სხვა... ნამდვილზე ხელი მოაწერა განსაკუთრებული რაზმის უფროსმა კედიამ.

მე 2-რე დადგენილება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის 23 ოქტომბ. 1920 წელი.

მე შინაგან საქმეთა მინისტრმა განვიხილე მოხსენება განსაკუთრებული რაზმის უფროსისა ა. წ. ივნისის 22 თარიღით 2953 №-რით, პავლე იოსების-ძე მარდალეიშვილის შესახებ, მივიღე მხედველობაში, რომ ზემოხსენებული პირი როგორც სჩანს მოგროვილი ცნობებიდან მხილებულია იმაში, რომ ის იღებდა ფულებს უცხო სახელმწიფოებიდან, ამ ფულებით იძენდა იარაღებს და აიარაღებდა კერძო ჯგუფებს, ეწეოდა არა ლეგალური მუშაობას, როგორც მოქალაქეეში, ისე ჯარში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. თანახმათ 1919 წლის ნოემბრის 21 დეკრეტისა დავადგინე:

პავლე იოსების ძე მართალეიშვილი დატუსაღებულ იქნას ერთი წლით დღიდან შეპყრობისა და სხვა...

დედანს ხელს აწერს მინისტრი რამიშვილი და შინაგ. საქმეთა მინ. კანც-ს დირექტორი გეგელაშვილი.

ყველა ზემო აღნიშნული ბრალდებები, რაიცაა მოყვანილი პირველი და მეორე დადგენილებებში არც ერთი სიმართლეს არ შეესაბამება. მხოლოთ აქ მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი, რომელიც მეორე დადგენილებაშია მოყვანილი:

„ზემოხსენებული პ. მარდალეიშვილი ღებულობდა ფულებს უცხო სახელმწიფოდან, ამ ფულებით იძენდა იარაღებს და აიარაღებდა კერძო ჯგუფებსო" აგრეთვე განაგრძობს მესამე დადგენილებაშიც, მხოლოთ იქ მოყავს „ამრავლებდა კერძო ჯგუფებსო".

გადაათვალიერეთ 1-ლი დადგენილება. არის შიგ მოხსენებული ეს უკანასკნელი მუხლი თუ არა? არაა. მაშასადამე, ეს უკანასკნელი მუხლი ჩემი დაპატიმრების შემდეგ აქვთ შემუშავებული ბ. კედიას და მის თანამშრომლებს, რომლითაც ალრცა ჩვენ დაგვტოვა გულნაკლულათ, რადგან ზემოხსენებული პირველი დადგენილებაში აკლდა და ესეც ჩაუმატა შიგ. პროტესტს და ზიზღს ვუცხადებ ასეთი ცრუ ბრალდებების შემთხზველ ბატონებს.

პავლუშა.

1920 წელი 28 ოქტომბერი.

როდესაც სექციის წევრმა ბორჩოლაძემ გამოვიდა და წინადადება შემოიტანა მოეთხოვათ ავანსი, მიტინგი აღშფოთდა, ვინაიდან ავანსი ვერ გამოიყვანს მუშებს და მოსამსახურეებს გაღატაკებულო მდგომარეობიდან, რომელშიაც ამ ხანათ იმყოფებიან ისინი. გამოვიდა აგრეთვე სექციის თავმჯდომარე, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი ლორნია, მაგრამ მისი სიტყვამ უფრო აღელვა მიტინგი. მას უდიერი სიტყვებით მიმართავდენ ხოლმე; მოითხოვდენ რომ მას შეეწყვიტა სიტყვა.

მიტინგი საათნახევარს გაგრძელდა. იგი 11 საათზე დასრულდა და იმ განზრახვით, რომ მეორე დღეს, 27 ოქტომბერს, 2 საათზე ისევ შეკრებულიყვენ. წამოაყენეს მოთხოვნილება, რომ კრებას შრომის მინისტრი აუცილებლათ დასწრებოდა, რათა მისი დასწრებით გამოენახათ ამ მოჯადოებული წრიდან გამოსავალი გზა,

მართლაც და, ტრამვაის მუშები მშიერ-მიშვლები არიან და შრომის სამინისტროს მუშაობა—კი აგრე უნაყოფოა!.. მდგომარეობა სერიოზულია. მწიფდება კონფლიქტი. რითი დასრულდება? ჯამაგირის ახალი გადიდებით, რომელიც ვერ გააუმჯობესებს მუშების ეკონომიურ მდგომარეობას, თუ...?

X.

# საზღვარ-გარეთ

## საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.

### მთამადნის მუშათა საერთაშორისო სიეზდი.

მთამადნის მუშათა საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა ჟენევაში 2 აგვისტოს. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა კონგრესის თავმჯდომარე სმილიმ. მან სთქვა, რომ მთამადნეების მუშების მიზანი—კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლება შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ინტერნაციონალურ მაშტაბში საერთო მუშაობით. შემდეგ მოხსენება გააკეთეს სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ყველა ისინი შეჩერდენ უმთავრესათ სამს არსებით საკითხებზე, სამუშაო დროს ხანგრძლივობაზე, მინიმალურ შრომის ხელფასებზე და ყველა მადნების და მაღაროების სახელმწიფოს ხელში გადასვლაზე. უკანასკნელ მოთხოვნილების განხორციელების აუცილებლობას აღნიშნავდენ ყველა ორატორები. ამ მოთხოვნილების განხორციელება იცვნეს, როგორც წინასწარი საშუალება ორი უკანასკნელ მოთხოვნილებების განსახორციელებლათ. ამ მიზნის განსახორციელებლად ბელგიის წარმომადგენელი საჭიროთ სცნობს პარლამენტში ენერგიულ ბრძოლისა და პრესაში ფართო აგიტაციის გარდა პროლეტარიატის მასსიურ დემონსტრაციებს და თუ საჭიროება მოითხოვს საყოველთაო გაფიცვასაც კი. მადნების და მაღაროების დასამუშავებლად კერძო პირებზე თუ საზოგადოებებზე კონცესიების გაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქმნას შეწყვეტილი. რაც შეეხება სამუშაო დროს, დელეგატების უმრავლესობა დროებით უჭერს მხარს 8 საათის სამუშაო დღეს, რადგან ქვანახშირის დიდი მოთხოვნილებაა. გერმანიის დელეგატები თანახმა არიან და სცნობენ საჭიროდ ნახშირის კრიზისის თავიდან აცილებას, მიუხედავათ ამისა, ისინი დაჟინებით მოითხოვდენ, რათა დაუყოვნებლივ ყოფილიყო დაწყებული ტეხნიკური მზადება 6 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გასატარებლად, ყველა სახელმწიფოებში ერთნაირის გეგმით.

საფრანგეთის დელეგატებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ზოგ მაღაროებში უკვე ეხლა შეიძლება შემოკლებულ იქნას სამუშაო დღე 6 საათამდის, გამონაკლის შემთხვევებში საჭიროა 4 საათამდისაც დროს შემოკლება. ბელგიის, საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკების დაჟინებითი მოთხოვნით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია მომავალ, მოსალოდნელ ომის გამო: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მხოლოდ მთამადნების მუშების ფედერაციას შეუძლია უზრუნველყოს ხალხებს შორის ზავი, რომ მთამადნის მუშების ინტერნაციონალის წინანდელ კონგრესზე მთამადნის მუშების ზოგ სექციებმა პირდაპირ არ უპასუხეს კითხვას საყოველთაო გაფიცვის შესახებ თუ რომ ომი დაიწყებოდა, როდესაც ასეთ გამოსვლას შეეძლო 1914—1918 წლების ომის თავიდან აცილება... რომ შეუძლებელი გახდეს მომავალში ასეთ, ბოროტების განმეორება მთელი კაცობრიობისათვის, მთამადნის მუშების საერთაშორისო სიეზდის დელეგატები აცხადებენ, რომ ისინი მზათ არიან გამოაცხადონ საყოველთაო, საერთაშორისო გაფიცვა იმ შემთხვევაში თუ რომ რომელიმე მონარქი ან რომელიმე მთავრობა მოინდომებს აგრესიულ, სამხედრო პოლიტიკის წარმოებას".

გაზ. „იზვესტია" № 208.

ხედავთ თავისი სინორჩისა, საკმაოთ დაამარცხა, როგორც მსოფლიო იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი, ისე იმათი დამცველი ყვითელი ინტერნაციონალი თავისი ყალბი სოციალისტებით.

ჩვენ არ ვფარავთ იმას, რომ ბლოკადის გამო საბჭოთა რუსეთში არის დაბრკოლებები, გაჭირვებები და კრიზისები, მაგრამ როგორც ჩვენ ვხედავთ, ყველა ეს დროებითია და წარმავალია. რომ რუსეთის დანგრევა და დამორჩილება ყოვლად შეუძლებელია, ამაში დარწმუნდნენ თვით ანტანტის რეაქციონერებიც, რომლებიც უკვე ხელს იღებენ რუსეთთან ბრძოლაზე. და რომ რუსეთი ძლიერია, ამის მაჩვენებელია ის მუშათა მოძრაობა საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს დასავლეთის პროლეტარიატში და აღმოსავლეთის ხალხებში.

რაც შეეხება ბოლშევიკების არა მარქსისტობას, ჩვენ ოზურგეთელ კომუნისტებს სასაცილოდ არ გვყოფნის ის, რომ მოწაფე, რომელიც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას" არ გასცილებია, კრიტიკას გვიკეთებს და მარქსისტობას გვიწუნებს. ადგილობრივი მენშევიკები მაინც კმაყოფილი დარჩნენ და ეს ახლათ მოვლინებული ლენინის მოპირდაპირე—დონ კიხოტი ტაშით დააჯილდოვეს.

ღმერთმა მოახმაროს მისი თავი ოზურგეთისა და ცხემლის ხიდის მენშევიკებს. ჩვენ კი, კომუნისტები დარწმუნებული ვართ, რომ „ერთობის" რენეგატული წერილებით განვითარებული „მარქსისტები" ჩვენ დიდს ვერას დაგვაკლებენ და ვერც საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტს დასცემენ.

პრ. ტოქსინი.

## შუხუთის თემი

(გურია)

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც შუხუთის თემის ერთმა კუთხემ ააშენა მოშალლო ადგილას ქვის სახლი სკოლისათვის. ეს კუთხე გორის გვერდის კუთხეა. ამ სკოლამ დიდი სამსახური გაუწია ხალხს; თითქმის ყველა—კუთხის მცხოვრები ზრდიდა ამ შკოლაში თავის შვილებს. სწავლის საქმე კარგათ მიმდინარეობდა რამდენიმე მასწავლებლების (ხომერიკის და სხვ.) დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ დროს გატარებული არ იყო სკოლებში ნაციონალიზაცია. მაგრამ ბოლო დროს ამ სკოლის საქმე სულ დაცემისაკენ მიდის. შკოლას ქონდა ბიბლიოტეკა, ქარტები, გლობუსი და სხვა საჭირო ნივთები სკოლისათვის. ახლა ეს ნივთები გაფანტულა ან სრულებით დაკარგულია. მაგრამ არც თვით შენობაა კარგ მდგომარეობაში. ფანჯრები დამტვრეულია, კარები გატეხილი დ ხშირათ ღია კარებში ორფეხთ გარდა ოთხფეხნიც დადიან.

ასეთია დღეს ის სკოლა, სადაც უწინ ასე კარგათ იყო საქმე. ასეთი მდგომარეობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში, განსაკუთრებით გორის გვერდის კუთხის მცხოვრებლებში. მენშევიკები ხალხს გაკეთებას პირდებოდენ, უფასო სწავლა-განათლებას და სხვ. ამავე დროს ნიავდება ხალხის ნაშრომი და უპატრონოთ არის მიტოვებული. შუხუთის „ცენტროვიკები" ძალიან ბევრს „ზრუნავენ" სახალხო სახლის აშენებაზე ცენტრში, მაგრამ აშენებულს, გაკეთებულსაც კი ვერ უვლიან. ცხადია, თუ ასე წავიდა საქმე და სკოლას არავინ მიხედა, ამ შემთხვევაში ეს შ—ა სავსებით დაინგრევა. საჭირო კია, რომ ამ კუთხეში მაინც იარსებოს ამ სასწავლებელმა და თუ სასწავლებელი არ იქნა, მაშინ ეს ხალხის შრომით შექმნილი ღირებულება მაინც დანგრეული არ უნდა იქნეს.

აღსანიშნავია, რომ ამ შკოლის შენობაში ყოველ შაბათს მენშევიკები კრებას ახდენენ და იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, რომ შენობას მოვლა და პატრონობა უნდა.

შუხუთელი.

## ჩვენი ფოსტა.

მეწისქვილე გოგიას. არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ კორესპოდენციები ერთ გვერდზე დაწერილი.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხაშვილი.

# მუშათა ცხოვრება

## ჩვენში

### რესპუბლიკის ქალაქთა კავშირებში

#### „ჩვენ" და მუშები

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა გაუდიდოს ჯამაგირი მთავარ კომიტეტის მოსამსახურეებს ბუხგალტრებს და კანტორის გამგეს. მაგრამ როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ სამუშაო ქირის გადიდება, ადმინისტრაციამ გვიპასუხა, რომ ჩვენთვის არსებობს სატარიფო პალატა. გეგონებოდათ, რომ პასუხი სამართლიანია. მაგრამ მაშინ რითი აიხსნება ჯამაგირის გადიდება მთავარ კომიტეტის წევრებისათვის? თუ მუშებისათვის ჯამაგირის გადიდება სატარიფო პალატას ზედმეტათ ნიაჩნია? ქალაქთა კავშირის ადმინისტრაცია, მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. ისინი საწყობებიდან ღებულობენ ყოველგვარ სანოვაგეს, როგორც მაგალითად: თეთრი ფქვილი 53 მ. გირვანქა შაქარს 95 მ, ბრინჯს 20 მ. ჩაის 150 მ., როდესაც ჩვენ მივმართავთ მათ თხოვნით, რათა მოგვცენ ჩვენ საწყობიდან სანოვაგე, ადმინისტრაცია გვითითებს მომარაგების ფონდზე, საიდანაც მუშები მართლაც ღებულობენ სანოვაგეს, მაგრამ ისე ცოტას, რომ ამით მდგომარეობას ჩვენსას სრულებით არ აუმჯობესებს. ქალაქთა კავშირის კოოპერატივიც არსებობს მხოლოდ ადმინისტრაციისთვის, რომელსაც ეტლებით მიაქვს სახლში ის სანოვაგეები, რომლის არსებობაზე მუშებმა არაფერი არ იციან. ასეთია დამოკიდებულება ადმინისტრაციისა ჩვენთან. „ჩვენ", (ადმინისტრაციას) შეგვიძლია ყველაფერი ვისარგებლოთ, თქვენ მუშებმა კი არაფერით.

ამის გამო მუშებში არის უკმაყოფილება და საყვედური „გამგეების" მიმართ. მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს. რომ ახლოა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის დროსაც არ იქნება ასეთი დაპირდაპირება.

მუშა.

### ტრამვაის მოსამსახურეთა შორის.

26 ოქტომბერს ტრამვაის დეპოში შემდეგი რამ მოხდა. დილით, მუშაობის დაწყებამდის, მუშებმა სრულიად სტიქიურათ იწყეს ჯგუფ-ჯგუფათ თავის მოყრა და თავისი ეკონომიური მდგომარეობაზე სჯა-ბაასი. ჯგუფები თანდათან შეერთდა და შეიქნა მიტინგი. სახელოსნოების გამგემ მუშებს წინადადება მისცა მუშაობას დადგომოდენ, მაგრამ მას არავინ დაუჯერა. მუშებმა მოილაპარაკეს დადგომოდენ მუშაობას, ხოლო დილის საუზმის შემდეგ ისევ მოეყარათ თავი.

დილის 9 ნახ. საათზე ყველა მუშები ისევ შეიკრიბენ, რათა განეგრძოთ დილით დაწყებული მიტინგი.

მუშები თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვდენ.

# პარტიული ცხოვრება

## ხაშური

2 ნოემბერს ქ. ხაშურში მოხდა კომუნისტური ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო დასმული გასარჩევათ:

1) ორგანიზაციული კითხვა.
2) მოხსენება ამხ. ლ. ქ.
3) პარტიული დისციპლინა.
4) გაზ. „ახ. კომუნისტის" გავრცელება.

პირველ საკითხის შესახებ ხანგრძლივი კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, საერთო კრებამ დაადგინა: დაევალოს ყველა ამხანაგებს, ვისაც გარკვეული აქვს კომუნისტური პროგრამა, გაავრცელოს თავის იდეა მასსაში.

2) ამხანაგ ლ. ქ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რაიონში მიმდინარეობს მუშაობა სასურველათ, მხოლოდ საჭიროა კულტურული ძალების ამოძრავება და ყალბი აგიტაციის გაფანტვა, რომელსაც აწარმოებენ მასსაში მენშევიკები.

3) მე-3 საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა სავალდებულო დადგენილება, რომ ყველა წევრი ვალდებულია კვირაობით დაესწროს აუცილებლათ პარტიულ კრებას.

4) ყველა პარტიულმა ამხ—მა ვალდებულათ სცნეს თვიანთ თავისთვის გამოიწერონ და გაავრცელონ ხალხში გაზეთი „ახალი კომუნისტი" როგორც მათი ინტერესების და უფლების დამცველი ორგანო.

ქალელი.

## ს. ხორში (ზუგდიდის მაზრა)

10 ოქტომბერს შესდგა ს. ხორში საჯიქაოს ორგანიზაციის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევა.
2) საორგანიზაციო საკითხები.

კრებამ მწყობრათ ჩაიარა და განხილულ იქნა ორივე საკითხები.

პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევაში კრება ძალიან ფრთხილათ იქცეოდა, რათა აერჩიათ მცოდნე და უმწიკვლო ამხანაგი და ამისდა მიხედვით არჩეულ იქნა ა. შ., რომელსაც უფლება ეძლევა მიაწოდოს ჩვენს ორგანოს კორესპოდენციები ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან.

ხორში-საჯიქაოს ორგ. კომიტეტი.

# პროვინციის ცხოვრება

## ოზურგეთი

ამას წინად ცხემლის ხიდის (დვაბზუს თემი) პირ.-დაწ. სასწავლებლის დარბაზში, სტუდენტ პლატონ სალიას მიერ წაკითხულ იქმნა რეფერატი, რის შემდეგ საკამათოდ გავიდა თომა სიხარულიძე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ორატორი მოჰყვა „ერთობის" ფურცლებში ამოკითხულის ლექვას: ბოლშევიკებმა რუსეთი დაანგრიესო, ბოლშევიკები მარქსისტები არ არიანო, საბჭოთა მთავრობამ ტერორი შემოიღოვო და სხვა და სხვა.

რუსეთის დანგრევაზე, ბტონო თომა, ჩვენც გეთანხმებით, მხოლოდ შეიგნეთ როგორმე, რომ დაინგრა ის ავაზაკური რუსეთი, რომელიც კარგა ხანია დასანგრევი იყო. რაც შეეხება მუშებისა და გლეხების რუსეთს და საბჭოთა მთავრობას, რომელიც ამ ნანგრევზედ აღმოცენდა, ის არა თუ დანგრეულია. პირიქით, ის ისეთი ძლიერია, რომ მან, მიუ-

სტამბა „ეკონომია" დიდივანქის ქ. № 3.